საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №21

ქ. თბილისი

04.09.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი;

სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ქეთევან ჯანუაშვილი - შპს - ერუდიტის დირექტორი;
2. ირმა ლორია - შპს - ერუდიტის დირექტორის მოადგილე;
3. გულნარა ლაშხია - შპს - ერუდიტის დამფუძნებელი;
4. ნათია ჯანაშია - შპს - ბრიტანულ - ქართული აკადემიის დირექტორი;
5. მამა პეტრე (ვალერიან გიორგაძე) - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის დირექტორის მოადგილე;
6. მერაბ ჭოხონელიძე - შპს - №1 სკოლის წარმომადგენელი;
7. მამუკა გოლეთიანი - შპს - პროფესიულ კოლეჯ - მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიის დირექტორი;

8. თამარ ბუკია-ვერულაშვილი - შპს - პროფესიულ კოლეჯ - მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიის ხარისხის სამსახურის უფროსი;
9. მეუფე სპირიდონი (გოჩა აბულაძე) - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
10. თემურ ტუნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წარმომადგენელი;
11. გიორგი ძიძიგური - ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
12. მალხაზ ლომთაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი;
13. გიორგი მათიაშვილი - შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
14. ლაშა ნარსია - შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
15. ფატი შენგელია - შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
16. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დირექტორი;
17. ანზორ დიასამიძე - შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრ "ანრის" რექტორი;
18. მზია დიასამიძე - შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრ "ანრის" ხარისხის სამსახურის უფროსი;
19. ტარიელ ქობულაძე - შპს - ახალგაზრდობის პროფესიული განყოფილების დირექტორი;
20. ოთარ დაბრუნდაშვილი - ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯ განთიადის დირექტორი;
21. ნონა ღუდუშაური - სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მერმისის" დირექტორი;
22. ნანა მანგალაძე - სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მერმისის" ხარისხის მენეჯერი;
23. კონსტანტინე დოლიძე - ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯ - პრესტიჟის დირექტორი;
24. ნიკოლოზ მესხიშვილი - შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხსი მართვის სამსახურის უფროსი;
25. ლელა თვარაძე - შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის იურისტი;

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მარიამ ხუციშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნანა ბარნაბიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა კაჟარავა - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:56 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ანა კლდიაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ერუდიტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - ბრიტანულ - ქართული აკადემიის მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
9. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
11. შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრი "ანრისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
12. შპს - ახალგაზრდობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
14. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

15. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი - პრესტიჟისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
16. საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
17. სსიპ - პროფესიული კოლეჯი - თეთნულდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო . სსიპ - პროფესიული კოლეჯ - თეთნულდის წერილობით განცხადება. ნანა ჭიღლაძის განცხადებით სსიპ - პროფესიული კოლეჯი - თეთნულდი ითხოვდა საკითხის განხილვის გადადებას დასკვნის უკეთ გაცნობის გამო 10 დღით. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:
1. შპს - ერუდიტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - ბრიტანულ - ქართული აკადემიის მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
9. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
11. შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრი "ანრისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
12. შპს - ახალგაზრდობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
14. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი - პრესტიჟისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

16. საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

1. შპს - ერუდიტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭიღლაძის, განცხადებით, აღნიშნული დადასტურდა მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური კორესპონდენციითაც.

საბჭოს სხდომაზე აზრი დააფიქსირა დაწესებულების ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, რომელმაც საბჭოს წევრებს მიმართა მიეღოთ შპს - ერუდიტის ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება, რადგან მიაჩნდა, რომ მისი უფლებები შელახული იქნა დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, საბჭოსათვის მნიშვნელოვანი იყო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება, ხოლო სხვა რაიმე სახის დავის განხილვის კომპეტენცია და უფლებამოსილება მათ არ გააჩნდათ.

საბჭომ განიხილა შპს - ერუდიტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ერუდიტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ერუდიტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე დაგვიანებით შემოვიდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე კახი ყურაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დავით კახნიაშვილს სხდომის თავმჯდომარეობისათვის. კახი ყურაშვილმა განაგრძო სხდომის თავმჯდომარეობა.

2. შპს - ბრიტანულ - ქართული აკადემიისათვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს - ბრიტანულ-ქართული აკადემია მდებარეობს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №37-ში. დაწესებულებამ წარმოადგინა საიჯარო ხელშეკრულება, გაფორმებული შპს - „ელიტასა“ და შპს - „ბრიტანულ–ქართულ აკადემიას“ შორის, რომლის თანახმადაც, მეიჯარე იჯარით გასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს დროებით სარგებლობაში ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზ. №37– ში მდებარე შპს - „ელიტას“ საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილს. კერძოდ, სარდაფის სართულს - 876 კვ.მ-ს, პირველი სართულს - 1289კვ.მ-ს, მე–2 სართულს - 1280 კვ.მ-ს (სულ 3445 კვ.მ.-ს).

2011 წლის 1 სექტემბრიდან მეიჯარე სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს საიჯარო ფართის ნაწილს 876 კვ.მ-ის სარდაფის სართულს, ხოლო 2012 წლის 1 სექტემბრიდან - საიჯარო ფართის დარჩენილ ნაწილს, პირველ სართულსა (1289კვ.მ.) და მე–2 სართულს (1280 კვ.მ.).

ხელშეკრულება დადებულია 2011 წლის 1 მარტს და მოქმედებს 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს - „ბრიტანულ ქართული აკადემიის“ სარგებლობაშია, მხოლოდ, შენობის სარდაფი - 876 კვ.მ. დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია საბავშვო ბაღის ოთახები, რომლის ფართია 143 კვ.მ.

1.2 აკადემიის შენობა 2-სართულიანია და მოიცავს 31 საკლასო ოთახსა და ხელოვნებისა და მუსიკის ოთახებს, ბიბლიოთეკას, სამასწავლებლოს, 4 ადმინისტრაციის ოთახს, ექიმისა და ფსიქოლოგის კაბინეტს, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიას, კომპიუტერების ლაბორატორიას, მედია ოთახს, სპორტულ დარბაზს, დაცვის ოთახს, მანდატურის ოთახს, სათამაშო/ცეკვის ოთახს და კაფეტერიას. შენობას, ასევე აქვს ეზო (საერთო ფართი 1700 კვ. მ.), სადაც განთავსებულია სათამაშო ატრაქციონი და ბაღი. ვიზიტის დროს მიმდინარეობს სპორტული მოედნის მშენებლობა.

1.3 წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აკადემიას სარგებლობაში აქვს 416 მერხი და 834 სკამი, 41 კომპიუტერი (მათ შორის 3 ლეპტოპი), სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. ეს უკანასკნელი შეძენილი აქვს შპს - „ინსტა-ჯორჯიასგან“. ლაბორატორია, აგრეთვე, მოიცავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისათვის საჭირო დამატებით ხელსაწყოებსა და მასალებს, გამწოვ კარადას.

1.4 დაწესებულების ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (2 გენერატორი), სველი წერტილები (ყველა სართულზე), დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც მუშაობს ბუნებრივ აირზე.

1.5 შენობის ნულოვან სართულზე დამონტაჟებულია რკინის პანდუსები. ასევე, სკოლას აქვს მოძრავი პანდუსები. აკადემიის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ამ პანდუსების დამონტაჟება იგეგმება სხვა სართულებზეც. რაც შეეხება ადაპტირებულ სველ წერტილებს, ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

1.6 დაწესებულებას ავტორიზაციის გავლის დროს არსებული შიდა (18) და გარე (5) პერიმეტრის კონტროლის კამერები, ძველი შენობიდან გადმოტანილი აქვს ახალ შენობაში. კამერების დამონტაჟება იგეგმება სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლას ჰყავს სულ 50 პედაგოგი. 2 პედაგოგის კვალიფიკაციის დადასტურება ვერ მოხერხდა, რადგანაც ვიზიტის დროს, დირექციის განმარტებით, მიმდინარეობდა აღნიშნული 2 პედაგოგის დიპლომი და ხელშეკრულების თარგმანის ნოტარიულად დამოწმება.

დავით კახნიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს მოწესრიგდა თუ არა პედაგოგის პირადი საქმეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ხარვეზების გამოსწორების დოკუმენტაცია, რომელიც გადამოწმდა და დადგინდა, რომ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული ხარვეზები აღმოფხვრილი იყო.

ანა კლდიაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მოესწრებოდა თუ არა სარემონტო სამუშაოების დასრულება სწავლის დაწყებამდე.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა თითქმის მოწესრიგებული იყო და მზად იყო სასწავლო პროცესის დასაწყებად.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 416-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ შპს - ბრიტანულ-ქართული აკადემიას, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 416 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ბრიტანულ-ქართული აკადემიისათვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბრიტანულ-ქართული აკადემიისათვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - ბრიტანულ ქართულ აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204497829) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 416-ით.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულება გეგმავს განახორციელოს დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტთა ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა, მხოლოდ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროგრამები ე.წ. სილაბუსები და თემატური გეგმები. გიმნაზია საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას გეგმავს 2012-1013 სასწავლო წელს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულება 2012 წლის 23 მაისს შპს - „ევრიკა-ზუ“-სთან გაფორმებული №5-09 ხელშეკრულების საფუძველზე, გეგმავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებულ სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობის შესყიდვას.დასწესებულებას ავანსის სახით გადახდილი აქვს 500 ლარი.

2.2 სკოლის პირველ სართულზე მოხვედრა სსსმ მოსწავლისთვის შესაძლებელია პანდუსის მეშვეობით. სსსმ მოსწავლისთვის სკოლაში მოწყობილი არ არის სველი წერტილი და აგრეთვე, ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლე ვერ მოხვდება შენობის მეორე სართულზე.

2.3 სკოლის შენობაში დამონტაჟებულია 4 შიდა კონტროლის ვიდეო კამერა. სკოლას აქვს 2 კამერა, რომლების შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება - ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.ექსპერტთა ვიზიტის დროს, კამერები არ იყო დამონტაჟებული.

2.4 ექსპერტთა ვიზიტის დროს, გრძელვადიანი (6 წლიანი) განვითარების გეგმის პროექტი განხილული იყო პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, თუმცა არ იყო დამტკიცებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა 1.1 შენიშვნის არსი.

მარიამ ხუციშვილის განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა საბაზო საფეხურის სასწავლო პროგრამის პროექტი. თავად პროგრამა არ იყო, რადგან სახელმძღვანელოები, ექსპერტთა ვიზიტის დროს, არ იყო გამოსული.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თვლიდა თუ არა იგი, რომ სასწავლო პროგრამა სკოლას ჰქონდა.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ნამდვილად ჰქონდა პროექტი განხილული პედაგოგიურ საბჭოზე.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოაწყვეს ადაპტირებული სველი წერტილი და დაამონტაჟეს გარე კამერები, რის დასადასტურებლადაც საბჭოს წარუდგინეს ფოტო მასალა.

მარიამ ხუციშვილის მიერ ფოტოების ნახვის შემდეგ დადასტურდა, რომ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორებული იყო.

გრძელვადიან განვითარების გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, იგი დამტკიცებული იყო, თუმცა თან არ ჰქონდა დოკუმენტაცია.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, თუ აღნიშნული, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში იყო ასახული, იგი პრობლემას არ წარმოადგენდა.

საბჭომ მიიჩნია, რომ სკოლას ხარვეზები გამოსწორებული ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 150-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზია, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 150 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 429649044) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

4. შპს - №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულება საკუთრების უფლებით ფლობს ქ. ქუთაისში, ბუხაიძის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობას საერთო ფართით 1199,64 კვ.მ. თუმცა, მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება 1128,24 კვ.მ. ფართი.

1.2 დაწესებულებაში განთავსებულია 250 ცალი ინდივიდუალური მერხი (თავისი სკამით). 2012 წლის 5 აგვისტოს სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ი.მ. "გელა კვანტალიანთან" 250 ცალი ინდივიდუალური მერხის დამზადების შესახებ, საფასური სრულადაა გადახდილი (8750 ლ.), ხოლო ინდ. მერხების მიწოდების თარიღად ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღე (2012 წლის 4 სექტემბერი).

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა 250 ცალი ინდივიდუალური მერხის მიღება-ჩაბარების აქტი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 350-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ შპს - №1 სკოლა მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 350 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - №1 სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 212690729) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

5. შპს - მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ ატორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 132-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ შპს - მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემია მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 132 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პროფესიულ კოლეჯ-მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 404935273) 5 წლის ვადით მიენიჭოს

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 132-ით.

6. ა(ა)იპ - ,,ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში განთავსებულ ერთ-ერთ შენობაში (საერთო ფართი - 913 კვ.მ.; სასწავლო ფართი - 490.5 კვ.მ) მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. უნივერსიტეტის რექტორის, მეუფე სპირიდონთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნულ ფართს დაწესებულება გამოიყენებს სასწავლო მიზნებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 3000-ით.

მეუფე სპირიდონის განცხადებით, უნივერსიტეტში, ამჟამად, 952 სტუდენტია, თუმცა მოთხოვნა დიდია, რადგან დაწესებულებაში სწავლა უფასოა. ამასთან, მათ პრეზიდენტისაგან მიიღეს დაპირება, რომ სამკერვალო ფაბრიკა გადაეცემათ და მისი თხოვნა იქნება, რომ საბჭომ აღნიშნული გაითვალისწინოს.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - ,,ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტს" მისი მატერიალური რესურსისა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ფორმულის გაუქმებით გამოწვეული საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით, შეეძლო 2500 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

ლალი ღოღელიანის განცხადებით, მას მიაჩნია, რომ საბჭომ გამონაკლისი უნდა დაუშვას, რადგან დაწესებულების სპეციფიკისა და მათ მიმართ არსებული დიდი მოთხოვნის გათვალისწინებით, ამასთან, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებაში სწავლა უფასოა, მიაჩნია, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უნდა განისაზღვროს 3000-ით. მისი განცხადებით,

აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევის დასაბუთება, სწორედ, საჯარო ინტერესით უნდა მოხდეს.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - ,,ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტს" ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ,,ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტს" ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ,,ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289) 2013 წლის 26 აგვისტოდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3000-ით.

7. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა თვითაცილების შესახებ.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას ადაპტირებული გარემო აქვს მხოლოდ, უნივერსიტეტის მეექვსე და მერვე კორპუსებში, კერძოდ, შესაძლებელია ლიფტებით სარგებლობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შემუშავებულია პროექტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების გადასაადგილებელი, კიბეზემავალი სატრანსპორტო საშუალებების შესაქმნელად.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტის სხვა კორპუსებში დაბალი სართულები იყო, ხოლო უშუალოდ სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენებოდა პირველი სართული, ამდენად, ლიფტს არ საჭიროებდა.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა დაწესებულების პირობების შესაბამისობის საკითხი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე, ავტორიზაციის მაძიებელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატარიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 19 642-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 1340-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შეეძლო 19 642 სტუდენტისათვის, მათ შორის 1340 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციისა დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) 2012 წლის 2 ოქტომბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 19642-ით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 1340-ით.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება - 20:34

სხდომა განახლდა - 21:01

საბჭოს წევრმა კონსტანტინე ნანობაშვილმა დატოვა სხდომა

8. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ ეტაპზე არაფორმალური განათლების აღიარების წესი შემუშავებული არ არის, ვინაიდან დაწესებულება, მხოლოდ მეოთხე საფეხურის პროგრამის განხორციელებას ვარაუდობს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, კინოტელეოპერატორის მეოთხე საფეხურის სილაბუსში მითითებული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ლიტერატურის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკაში არ არის ყველა საჭირო სახელმძღვანელო.

2.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 კინოტელეოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს 13 მასწავლებელი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 12 მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე არ აღმოჩნდა შენგელია ვლადიმერის პირადი საქმე, შესაბამისად, მისი კვალიფიკაიის შესაბამისობა ექსპერტთა მიერ ვერ დადგინდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა შენგელია ვლადიმერის პირადი საქმე. ექსპერტმა, ნანა ბარნაბიშვილმა, დაადასტურა ხარვეზის გამოსწორების ფაქტი.

ადაპტირებული ცველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი ფოტომასალა წარედგინა საბჭოს და დადგინდა, რომ ხარვეზი გამოსწორდა, ხოლო წიგნებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, ექსპერტმა შეამოწმა წარმოდგენილი ჩუქების აქტი, რომლითაც დადასტურდა ყველა სახელმძღანელოს ფლობის ფაქტი.

არაფორმალური განათლების აღიარების წესის შექმნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მოთხოვნა მეოთხე საფეხურისათვის არ იყო სავალდებულო, თუმცა დაწესებულებას ეს წესი შეიმუშავა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ხარვეზების გამოსწორების შესახებ დოკუმენტაცია უნდა დაერთოს სხდომის ოქმს.

საბჭომ იმსჯელა შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის შესაბამისად, შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204555524) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	კინოტელეოპერატორის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	IV	კინოტელეოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

9. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სისტემური ხასიათის ხარვეზები დაფიქსირდა წარმოდგენილ პროგრამებში და სილაბუსებში შეფასების საათების განსაზღვრასთან მიმართებაში. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის გამოყოფილია 5 საათი, სილაბუსის გრაფაში "კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება პროფესიული სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად" მითითებულია, რომ შუალედურ გამოცდას ეთმობა 2 საათი, კონსულტაციას 1 საათი და დასკვნით გამოცდას 2 საათი, თუმცა სასწავლო კვირეების მიხედვით გაწერილ თემატიკაში, ჩასმულია მხოლოდ 2 შუალედური გამოცდა, თითოეული 2 საათი და დასკვნითი გამოცდის შეფასებისათვის საათები არ არის გამოყოფილი. მოცემული შენიშვნა ეხება ყველა წარმოდგენილ სასწავლო სილაბუსს.

1.2 სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში თემატიკა არ არის საათების მიხედვით გაწერილი. სილაბუსის გრაფაში "საათების განაწილება პროფესიული სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად", მითითებულია, რომ გამოცდას ეთმობა 10 საათი, თუმცა სასწავლო კვირეების მიხედვით გაწერილ თემატიკაში შუალედური და დასკვნითი გამოცდა არ არის ჩასმული და შესაბამისად არც მათი შეფასებისთვის გამოყოფილი საათებია მითითებული. აღნიშნული ხარვეზი ეხება ყველა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსს.

1.3 ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში დაშვების წინაპირობად მითითებულია ფარმაცევტული ქიმია და წამალთა საქარხნო ტექნოლოგია, მაშინ როდესაც, სასწავლო პრაქტიკა მიმდინარეობს პირველი კვირიდანვე პარალელურ რეჟიმში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ხარვეზები ატარებდა ტექნიკურ ხასიათს. თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ტექნიკური შეცდომისაგან დაზღვეული ვერავინ იქნება, თუმცა ტექნიკურად ვერ ჩაითვლება სისტემური შეცდომა, რომელიც ფიქსირდება

ყველა სილაბუსში. შესაბამისად, დაწესებულებამ თუ გაითვალისწინა ექსპერტის შენიშვნები, ეს ნიშნავს არა ტექნიკურად სილაბუსების ჩასწორებას, არამედ არსებული ხარვეზის გამოსწორებას.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა თავჯდომარეს და განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება მოხდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ.

თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ავტორიზაციის საბჭო ხელმძღვანელობს საექსპერტო ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებული მდგომარეობით. ამასთან, ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი შენიშვნები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კი საქმე ეხება ყველა სილაბუსში დაფიქსირებულ ხარვეზებს, რაც საჭიროებს კომპლექსურ და არსებით შემოწმებას, რისი არც უფლებამოსილება და არც შესაძლებლობა, სხდომის ფორმატში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს არ აქვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა თხოვნით საბჭოს, მომხდარიყო ნიმუშის სახით ერთი სილაბუსის შემოწმება. თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ერთი სილაბუსის ნახვა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ მომხდარიყო ყველა სილაბუსში ხარვეზის გამოსწორების დადასტურება.

დაწესებულების წარმომადგენელმა 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების პერსონალის კომპეტენტური აზრით, თემატიკის კვირებად გაწერა არ იყო მიზანშეწონილი.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ წარმომადგენლის განმარტება სცდებოდა 1.2 შენიშვნის არსს. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში საუბარი იყო იმაზე, რომ გამოცდას ეთმობა 10 საათი, თუმცა სასწავლო კვირეების მიხედვით გაწერილ თემატიკაში შუალედური და დასკვნითი გამოცდა არ არის ჩასმული და შესაბამისად არც მათი შეფასებისთვის გამოყოფილი საათებია მითითებული. 1.2 შენიშვნასთან მიმართებით თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს.

ექსპერტმა, თეა შაყულაშვილმა, განმარტა, რომ დაფიქსირებული იყო მხოლოდ გამოცდისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა - 10 საათი, თუმცა არსად იყო მითითებული, თუ რას ეთმობა მოცემული საათები, როდის ან როგორ ხდება ქულის მოპოვება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თეორიის სილაბუსებში მითითებული იყო საათების განაწილება, ამიტომ აღარ მოხდა მისი გაწერა პრაქტიკის სილაბუსებში.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა საგანს გააჩნია თავისი სილაბუსი, შესაბამისად, შეუძლებელია ერთი საგნის სილაბუსზე მითითებით, მეორე საგნის სილაბუსში არსებული შენიშვნის უარყოფა. ამასთან, სილაბუსის ფუნქციაა სტუდენტთა მაქსიმალური ინფორმირებულობა, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორივე საგანი - ფარმაცევტული ქიმია და წამალთა საქარხნო ტექნოლოგია, ისწავლება პირველ სემესტრში, ხოლო სასწავლო პრაქტიკა კი გათვალისწინებულია მეორე სემესტრში.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით თავჯდომარემ სთხოვა განმარტება ექსპერტს. ექსპერტმა, თეა შაყულაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამაში არ ჩანდა საგნების სემესტრული

განაწილება, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო წარმომადგენლის ზეპირ განმარტებას.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამაში აუცილებელია მითითებული იყოს საგნების სემესტრული განაწილება, შესაბამისად, მოცემული თავის მხრივ დამოუკიდებელ ხარვეზს წარმოადგენს.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა ცალსახად სამართლიანია, მაგრამ ვინაიდან მხარემ იგი სადავო გახადა, ხოლო სხდომის ფორმატში არ დასტურდება არც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების სიზუსტე და არც ექსპერტთა დასკვნას ერთვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საბჭო გადაწყვეტილების მიღების დროს არ დაეყრდნობა და არ გაითვალისწინებს აღნიშნულ ხარვეზს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება. წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს შეფასებებს არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით და მიმართა საბჭოს თხოვნით, მხედველობაში არ მიეღო ხარვეზები და გამოეცხადებინა ნდობა დაწესებულებისათვის.

საბჭომ იმსჯელა შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 219988770) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	მოცეკვავე	III	მოცეკვავის საქმიანობის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.	60
2	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	III	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის	60

			პროფესიული კვალიფიკაცია.	
3	კბილის ტექნიკოსი	III	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60

10. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 პროგრამის სასწავლო გეგმა (ე.წ. სასწავლო პროცესების სტრუქტურა) მოიცავს ძირითადი სპეციალობის საგნებს, საუნივერსიტეტო საგნებს, სადიპლომო ნაშრომს, რაც არ შეესაბამება პროფესიული პროგრამების სტუქტურას და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენის სარეკომენდაციო ფორმას. მოცემული წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის სტუქტურას.

1.2 ტელერადიოოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა სტანდარტის თანახმად და პროგრამის მოცულობიდან გამომდინარე არის 120 კრედიტიანი, აქედან 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას ნაცვლად 60 კრედიტისა ეთმობა მხოლოდ 8 კრედიტი (4 კრედიტი - რადიო სასწავლო/საწარმოო პრატქიკა, 4 კრედიტი - სატელევიზიო სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა), სულ 200 საათი, აქედან 40 არა საკონტაქტო საათი განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისათვის, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 121/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 ქვეპუნქტს.

1.3 სასწავლო გეგმა მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და შესაბამისად ვერ დგინდება, რამდენი საათი ეკუთვნის ლექციას, პრაქტიკულ მეცადინეობასა და სამუშაო ჯგუფში მუშაობას, არ არის გამოყოფილი შულედური და დასკვნითი შეფასებისათვის განკუთვნილი დრო.

1.4 პროგრამას თან ერთვის შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები. ყველა სილაბუსში შინაარსის ნაწილში სასწავლო გეგმის ანალოგიურად არ არის აღნიშნული და გათვალისწინებული შუალედური და დასკვნითი შეფასება, სრული საკონტაქტო საათები განკუთვნილია მხოლოდ სალექციო და პრაქტიკული თემებისათვის. ასევე არ არის აღნიშნული დამატებითი გამოცდა (მაგ.: რადიოს სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი, რადიოპერატორის ოსტატობა).

1.5დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული პროგრამის განხორციელების წესი, და არც პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი.

1.6 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და, შესაბამისად, არ აქვს მემორანდუმი გაფორმებული რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებასთან პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით.
1.7 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 ბიბლიოთეკა არ არის აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, არ გააჩნია წიგნსაცავი და წიგნის თაროები, არ არის სამკითხველო დარბაზი, წიგნები დახურულ კარადაშია მოთავსებული. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) არ შეესაბამება ტელერადიოოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას;
2.2 დაწესებულებაში არ არის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
2.3 დაწესებულებაში არ არის გამოკრულიევაკუაციისგეგმა;
2.4 დაწესებულებას არ გააჩნია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, არ ჰყავს ექიმი ან ექთანი, არ არის სამედიცინო პუნქტი. არ არის შემუშავებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, დაცვის კუთხით, დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ჰყავს 10 სადღეღამისო დარაჯი;
2.5 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;
2.6 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 ტელერადიოოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამას განახორციელებს 13 პედაგოგი. დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ 9 მათგანის პირადი საქმე. დანარჩენ 4 პედაგოგთან არც შრომითი ხელშეკრულებებია გაფორმებული.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ იგი იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს, ხოლო მოდერნიზებული პროგრამა უკვე წარმოდგენილია ცენტრში.

თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ავტორიზაციის საბჭო ხელმძღვანელობს საექსპერტო ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებული მდგომარეობით. ამასთან, ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი შენიშვნები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კი მოდერნიზებული პროგრამა საჭიროებს

კომპლექსურ და არსებით შემოწმებას, რისი არც უფლებამოსილება და არც შესაძლებლობა, სხდომის ფორმატში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს არ აქვს. თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მოდერნიზებული პროგრამის შემოწმების გზა არის ახალი საავტორიზაციო განაცხადი და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, ახალი საექსპერტო ვიზიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზების გამოსწორების პარალელურად არის შენიშვნები, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმება. კერძოდ, 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა შესაძლებელია დასრულდეს სადიპლომო ნაშრომით და ამის პრეცედენტი არსებობს ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტს კომენტარი აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ ტელერადიოოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იყო მეოთხე საფეხურის, ხოლო პროგრამის სტრუქტურა იყო საუნივერსიტეტო. იგი მოიცავდა საუნივერსიტეტო საგნს - სადიპლომო ნაშრომს. პროგრამაში მითითებულია რომ 60 კრედიტი ეთმობა პრაქტიკას, თუმცა პროგრამიდან გამომდინარე პრაქტიკისათვის განკუთვნილია მხოლოდ 8 კრედიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტელერადიოოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურია და თუ ექსპერტს ექნებოდა შესაბამისი განათლება, იგი გაითავისებდა თეორიული საგნების შინაარს და მიხვდებოდა, რომ პრაქტიკას ეთმობა 8 კრედიტზე მეტი.

თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ექსპერტს გააჩნია შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია. რაც შეეხება პროგრამის სპეციფიკას, არ არის სავალდებულო, რომ ავტორიზაციის პირობებში პროგრამა შეამოწმოს უშუალოდ ტუროპერატორმა. ამავე ლოგიკით, საბჭოს წევრი უნდა იყოს ყველა პროფესიის ადამიანი, რაც უტოპიაა. მოცემულ შემთხვევაში, ხარვეზი გულისხმობს, რომ 120 კრედიტიან პროგრამაში 60 კრედიტი ეთმობა თეორიას, ხოლო 60 - პრაქტიკას, მაშინ როდესაც სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პრაქტიკა შეადგენს ჯამში 8 კრედიტს. სხვაგან არსად არ არის ნახსენები პრაქტიკა, ხოლო საგნები კი შინაარსობრივად თეორიულია. ამასთან, თავჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა უნდა წაიკითხოს არა მხოლოდ ტელერადიოოპერატორმა, არამედ ჩვეულებრივმა სტუდენტმაც, რომელსაც მარტივად უნდა შეეძლოს იმის გარკვევა, თუ რამდენი კრედიტი ეთმობა პრაქტიკის და რამდენი - თეორიას.

დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, რომლემაც განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება ხორციელდება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის გზით, ამიტომ არ არის აუცილებელი ვიწრო სპეციალიზაციის ექსპერტის გამოყენება. აღნიშნულს ითვალისწინებს აკრედიტაციის პროცედურა. ავტორიზაციის სტანდარტის შემოწმების კომპეტენცია კი მოცემულ შემთხვევაში ექსპერტს ნამდვილად გააჩნდა.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, მითითებული იყო თუ არა საგნების გასწვრივ პრაქტიკის საათები. დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ საათები იყო მითითებული, მაგრამ არ იყო დაცული თანაფარდობა. საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ სწორედ ამას ითვალისწინებდა ექსპერტის შენიშვნა.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა ასევე 1.5 და 1.6 შენიშვნებს და აღნიშნა, რომ მას გააჩნდა ადრე შემუშავებული წესი, რომელიც ასევე ეხებოდა პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს

საკონტაქტო პირს წარმოადგენდა დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, რომელთან ინტერვიუირების შედეგად არ გამოკვეთილა მსგავსი გარემოება, შესაბამისად ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული წესი დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული.

თავჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა ცალსახად სამართლიანია, მაგრამ ვინაიდან მხარემ იგი სადავო გახადა, ხოლო სხდომის ფორმატში არ დასტურდება არც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების სიზუსტე და არც ექსპერტთა დასკვნას ერთვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საბჭო გადაწყვეტილების მიღების დროს არ დაეყრდნობა და არ გაითვალისწინებს 1.5 და 1.6 შენიშვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებული სხვა შენიშვნები დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გაზიარებულ იქნა, ამასთან, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ხარვეზების გამოსწორება განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ გააჩნია ფინანსური სახსრები და ამასთან, იგი განთავსებული შენობაში, რომელიც არ წარმოადგენს მის საკუთრებას, შესაბამისად, დაწესებულება ვერ გაიღებს სხვისი შენობის შეკეთების ხარჯებს.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ მიუხედავად დაწესებულების წარმომადგენლის მიერ დასახელებული მიზეზისა, რაც გულისხმობს ფინანსური სახსრების არქონას, გაუგებარია, რატომ არ იყო შესაძლებელი 10 დარაჯის ნაცვლად ერთი ექთნის შტატის გამოყოფა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მართალია არ არსებობს ექთნის შტატი და სამედიცინო პუნქტი, მაგრამ არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის განკუთვნილი მედიკამენტები.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ მისი აზრით, დაწესებულება არ იყო მზად საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის, თუნდაც, იმიტომ რომ არ გააჩნდა შესაბამისი წიგნადი ფონდი.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით 2.1, 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 შენიშვნები, ხოლო 2.6 შენიშვნა - ნაწილობრივ, კერძოდ, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას გააჩნდა მხოლოდ ერთწლიანი გეგმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული შენიშვნა და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებების გაფორმება მოხდა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, თუმცა ხელშეკრულებები საბჭოს სხდომაზე ვერ წარმოადგინა.

თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ სწორედ 3.1 შენიშვნაა ისეთი ხასიათის, რომლის გამოსწორების დადასტურებაც საბჭოს სხდომაზევე დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას, თუმცა იმის გამო, რომ მხარემ ვერ წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულებები, საბჭო ვერ დაეყრდნობა მხოლოდ ზეპირ განმარტებას.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
	ტელერადიოოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	IV	ტელერადიოოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

11. შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 engine-room department ratings (გემბანის მეზღვაურის) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა და engine-room or designated to perform duties in a periodically unmanned engine-roo (სამანქანე განყოფილების მეზღვაურის) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა 60 კრედიტიანია, აქედან 60% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ორივე პროგრამის სილაბუსების მიხედვით დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების გადანაწილებისას, მითითებულია ე.წ. „ცოდნის შეფასების დრო“, რომელსაც მიკუთვნებული აქვს 6 საათი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. ასეთ შემთხვევაში ამ შეფასებისთვის განკუთვნილი 6 საათი უნდა შედიოდეს საკონტაქტო საათებში.

1.2 ორივე პროგრამაში სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში საათების საერთო რაოდენობა არასწორადაა გადანაწილებული, ის დაყოფილია, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის სააათებად. გარდა ამისა, ამ კურსის სწავლების მეთოდებში მითითებულია: ლიტერატურის კითხვა; დამოუკიდებელი მუშაობა; სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გავლა დამოუკიდებლად-არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის აღიარება.

1.3 აღსანიშნავია რომ პროგრამებში არ არის მითითებული სწავლის ხანგრძლივობა, მაგრამ ის განსაზღვრულია კოლეჯის რექტორის ბრძანებით და შეადგენს ერთ სასწავლო წელს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სველი წერტილები არ არის ადაპტირებული, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ არ ეყოლებათ სსსმ სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, 1.3 შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

2.1 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი ვერ ეყოლებათ. იმ შემთხევაში, თუ კი დაწესებულებაში

მოვიდოდა რომელიმე პროფესიულის სტუდენტის სპეციალური საჭიროების მქონე მშობელი, იგი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაადგილებას შეძლებდა შენობაში დამონტაჟებული ლიფტის მეშვეობით.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის მოსაზრებით, 1.1 და 1.2 შენიშვნები იყო არაარსებითი ხასიათის, შესაბამისად შესაძლებელი იყო ამ შენიშვნების მოხსნა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არ შენიშვნის მოხსნა, როდესაც სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში სწავლების მეთოდად მითითებული იყო ,,ლიტერატურის კითხვა"?

კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა მოიცავდა პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის ანალიზის გაკეთებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტები აკეთებენ სპეციალური ფორმის ანგარიშს და აღნიშნული საათები ეთმობოდა სწორედ ამ ანგარიშის შედგენას. კოლეჯის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული დამოუკიდებელი მუშაობის საათები გადატანილი იყო საკონტაქტო საათებში და აღნიშნული შენიშვნა იყო გამოსწორებული. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი შენიშვნები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას. კოლეჯის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის 2 სილაბუსი. ავტორიზაციის ექსპერტის, მაკა კაჭარავას მიერ ადგილზე გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ დაფიქსირებული 1.2 შენიშვნა იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ,,შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის №23 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის თანახმად, შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრს ანრის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვრა 165 ადგილით. კოლეჯის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ადგილების 300-ით განსაზღვრა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრ ანრის (საიდენტიფიკაციო **კოდი:** 245539403) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1.	სამანქანე განყოფილების მეზღვაურის (ინგლისურენოვანი)	III	გემის სამანქანე განყოფილების დამხმარე დონის რიგითი მეზღვაურის კვალიფიკაცია	60
2.	გემბანის მეზღვაურის (ინგლისურენოვანი)	III	გემბანის დამხმარე დონის რიგითი მეზღვაურის კვალიფიკაცია	60

2. ,,შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ” საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის №23 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,2. შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრ ანრის მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 300 ადგილით.”

საბჭოს სხდომაზე 22:15 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 22:35 საათზე.

12. შპს - ახალგაზრდობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ყველა პროგრამის თანდართულ სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგი გაწერილია ექვსივე კომპეტენციაზე, რომელიც არ შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანს, ასევე სილაბუსებში მოცემული თემატიკა არ იძლევა აღნიშნული შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. აქვე ავღნიშნავთ, რომ სილაბუსში გაწერილი კომპეტენციები არ შეესაბამება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში მოცემულ სწავლის შედეგების რუკას (ექსპერტების მიერ აღნიშნულის დასადასტურებლად დანართის სახით წარმოდგენილია რამოდენიმე სილაბუსისა და პროგრამის ასლი, რადგან დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი პროგრამები იდენტურია ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებულის). მაგალითად: იხილეთ დანართი პროგრამა თანდართული სილაბუსებით .

1.2 მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროგრამის სასწავლო გეგმაში გაწერილია შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა, სილაბუსების გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული საათი განკუთვნილია მხოლოდ შუალედური შეფასებისათვის. არცერთი სილაბუსი არ მოიცავს დასკვნითი გამოცდისათვის განკუთვნილ საათს. ყველა პროგრამის სასწავლო გეგმაში მისი მოცულობიდან გამოყოფილია ერთი კრედიტი - 25 საათი, რომელიც განკუთვნილია ,,ტესტირების და გამოცდებისათვის", ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", მუხლი 3. პუნქტი 2. - ,,კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას".

1.3 წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სილაბუსებში გაწერილი ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, შუალედური გამოსდებისათვის და დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილი საათები არ ემთხვევა შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმაში მოცემულ საათების გადანაწილებას (იხ. დანართი N1, ,,ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია" სილაბუსში ლექციის თემატიკა გაწერილია 38 საათზე, თუმცა სილაბუსის ,,ფორმატში" მითითებულია -37 სთ, ჯგუფური მუშაობისათვის გამოყოფილია 38 საათი,

შუალედური გამოკითხვა - 5 საათი, სასწავლო გეგმის მიხედვით ამ საგნისთვის გამოყოფილი საკონტაქტო საათი შეადგენს 81 საათს და დამოუკიდებელი მუშაობისათვის კი გამოყოფილია 20 სთ). ასევე, ხშირ შემთხვევაში შეუსაბამობაშია სილაბუსში თითოეული თემატიკისათვის გამოყოფილი საათების ჯამს, სილაბუსში ჯამურად მოცემულ საათებსა და სასწავლო გეგმაში მოცემულ სტუდენტის დატვირთვებს შორის.

1.4 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ყველა სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობად მოცემულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მათ შორის პრაქტიკის სილაბუსებზეც.

1.5 კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროგრამა: სასწავლო კურსი - ,,ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“, სილაბუსში გაწერილი კომპეტენციები არ შეესაბამება პროგრამასი მოცემულ სწავლის შედეგების რუკას. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის არცერთი დისციპლინა არ ითვალისწინებს სტანდარტითა და პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგს, მაგ. - ცოდნა და გაცნობიერება ,,შესწავლილი აქვს კბილთა მწკრივები. იცის თითოეული კბილის ანატომია და სტრუქტურული აგებულება“.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ,,ლათინური ენის“ შესაწავლას, რაც არ არის სტანდარტით განსაზღვრული, არც პროგრამაში მოცემულ სწავლის შედეგშია ასახული. სასწავლო კურსის მიზანია - ,,მიიღოს მინიმალური ცოდნის დონე რომელსაც უნდა ფლობდეს ფარმაცევტული სწავლების კურსდამთავრებული“, ხოლო სწავლის შედეგია: ცოდნა და გაცნობიერება- ,,აქვს სათანადო ცოდნა, შეუძლია მზა წამლებით ვაჭრობის ანალიზი, გაცნობიერებული აქვს ფარმაციის მნიშვნელობა. აღიქვამს ფარმაციის სტრუქტურებს, აცნობიერებს ფარმაციის განვითარებაზე დარგთაშორის კავშირებს“. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია დარგისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, აგრეთვე კვლევის ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციის მოხედვით. დასკვნის უნარი შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ფარმაციის დინამიკის აღქმა, მისი მომავალი განვითარების ანალიზისა და დასკვნის უნარი.კომუნიკაციის უნარი შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გასაჭირის გზების შისესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის გადაცემა.სწავლის უნარი შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და დამოკიდებულება მაღალი ხარისხის სწავლის გაგრძელება. ღირებულებები მონაწილეობს ღირებულებების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. მსგავსი დარღვევებია უმრავლეს პროგრამებში, მაგალითად:

1.6 ავტოზეინკალის პროფესიული პროგრამა - იხილეთ სასწავლო კურსი ინგლისური ენა; ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის პროფესიული პროგრამა - იხილეთ სასწავლო კურსი - ,,პურისა და პურ-პროდუქტთა ვარგისიანობის განსაზღვრა“ და ,,მზა კერძების ანალიზის განსაზღვრის მეთოდები“ - სწავლის შედეგი არ არის გაწერილი დარგობრივი კომპეტენციებით.

1.7 კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსი - ,,პირველადი სამედიცინო დახმარება“, არ მოიცავს ინფორმაციას სასწავლო ლიტერატურის შესახებ. კბილის ტექნიკოსის მე- 3 საფეხურის პროფესიული პროგრამის პრაქტიკის კომპონენტში დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი, სადაც კრედიტების რაოდენობაში და საათების განაწილების გრაფაში მითითებულია სასწავლო პრაქტიკისა და საწარმოო პრაქტიკისათვის გამოყოფილი საათები, სასწავლო კურსის შინაარსში მოცემული თემატიკა არ არის გამიჯნული, არ ირკვევა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის თემატიკა, პრაქტიკის სილაბუსში დაშვების წინაპირობად მითითებულია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, არ არის მოცემული შეფასების კრიტერიუმები, სწავლების მეთოდი, სწავლის შედეგი. არ არის მოცემული პრაქტიკის ხანგრძლივობა.
1.8 მსგავსი ხარვეზია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ცხრამეტივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში. მაგ. ,,სასტუმრო საქმისმწარმოებლის" სასწავლო საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში, იმ განსხვავებით, რომ აქ მოცემულია სწავლის შედეგი; ასევე ,,ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის" საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში.
1.9 პროგრამების გადამოწმების დროს გამოიკვეთა ასევე შემდეგი ხარვეზი: პროგრამის სწავლის შედეგი, ასევე მისი შემადგენელი სასწავლო კურსების სწავლის შედეგი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ სწავლის შედეგს. მაგალითად, ბუღალტრის პროფესიული სტანდარტით დადგენილია, რომ სტუდენტმა უნდა შეძლოს ,,საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადება", აღნიშნული შედეგი არ არის გაწერილის ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროფესიულ პროგრამაში და არც ამ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები ითვალისწინებს აღნიშნული შედეგის მიღწევას.
1.10 ავღნიშნავთ, რომ ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით სწავლებას - ორისი, ინფო. თუმცა აღნიშნული სილაბუსის თემატიკა მოიცავს ელემენტარული კომპიუტერული უნარების გამოსამუშავებელ თემატიკას, სადაც მხოლოდ 2 სალექციო და 2 პრაქტიკული მეცადინეობისათვის გამოყოფილი საათი ეთმობა ,,ელექტრონული ცხრილების" შესწავლას.
1.11 ამავე პროგრამის სწავლის შედეგში გაწერილია სტანდარტით დადგენილი უცხო ენის ცოდნა, თუმცა სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს აღნიშნულ დისციპლინას.
1.12 ხშირ შემთხვევაში პროგრამებში სასწავლო გეგმით განსაზღვრული დისციპლინის სახელწოდება არ შეესაბამება სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულ დასახელებას, მაგალითად, ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროგრამა - სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილია ,,საკალკულაციო აღრიცხვა", სილაბუსი წარმოდგენილია ,,კალკულაცია და აღრიცხვა"; სასწავლო გეგმის მიხედვით - ,,ბუღალტრული აღრიცხვა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით (ორისი, ინფო)" - წარმოდგენილია სილაბუსი - ,,ბუღალტრული აღრიცხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით".
1.13 მე-3 საფეხურის ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიული პროგრამა - გარდა სხვა იდენტური შეცდომებისა, არ არის სწორად მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია (პროგრამაში მითითებული კვალიფიკაცია - ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი) არ არის დაკონკრეტებული კვალიფიკაციის შესაბამისი საფეხური.
1.14 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფარამცევტული პრეპარატის წარმოების სპეციალისტის პროგრამის მოცულობა 35 კრედიტია, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების თანაფარდობა არ შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ თანაფარდობას, საიდანაც 40 % უნდა ეთმობოდეს სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60 სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას (პროგრამის მიხედვით პრაქტიკის მოცულობა 18 კრედიტია ნაცვლად 21 კრედიტისა).
1.15 ამავე პროგრამის სწავლის შედეგი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მაგალითად,
1.16 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პროგრამაში მითითებულია, რომ ,,შეუძლია აღნიშნულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეაფასოს დავალების შესასრულებელი სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს სათანდო მეთოდები, ინსტრუმენტები და

მასალები, შეძლოს წარმოებული პრეპარატების, ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებების გაყიდვა“. ავღნიშნავთ, რომ ,,ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი“ (041060) არის ინჟინერიის დარგი, ხოლო წარმოდგენილი პროგრამის მიზანი ორიენტირებულია პრეპარატების, ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებების გაყიდვაზე. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემდეგი სწავლის უნარისგამომუშავებას - საბუნებისმეტყველო საგნების – მათემატიკის, ზოგადი ქიმიის, ასევე უცხოური ენის, ინფორმატიკის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის, მნიშვნელოვანწილად სპეციალური საინჟინრო საგნების-ფარმაცევტული მრეწველობის პროცესების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის და სხვათა საფუძველზე შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში-ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარების, ოპერაციის ოპტიმალური პირობების დადგენის და სხვა მსგავსი ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღებას“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამით არ არის განსაზღვრული მათემატიკისა და ინფორმატიკის სწავლება, ასევე გადამოწმდა ამ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების თემატიკა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილ სწავლის შედეგს. ასევე, ცოდნა და გაცნობიერება - აქვს ფარმაცევტული წარმოებისათვის აუცილებელი დისციპლინების, პროცესებისა და აპარატების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიების ზოგადი პრინციპების ცოდნა ფართო ცოდნა; - წარმოდგენილი პროგრამით აღნიშნული შედეგი არ მიიღწევა.

1.17 მასაჟისტის პროფესიული პროგრამა - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. მაგალითად,

1.18 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში ცოდნა და გაცნობიერება ითვალისწინებს - ,,იცის ურთერთობის ფსიქოლოგია, ფლობს ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის საფუძვლებს, შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება. იცის არტერიული წნევის გაზომვა, ტალახისა და პარაფინის აპლიკაციების დადება, გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები, იცის სამკურნალო ფიზკულტურის ძირითადი საშუალებები, მათი ჩატარების ფორმები და მეთოდები, ესთეტიკურ სალონებში მასაჟის კაბინეტის ორგანიზაცია. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარია - ,,შეუძლია: პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება. კლასიკური მასაჟის მეთოდების გამოყენება. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სამკურნალო ფიზკულტურის ჩატარება. ჰიპერტონული დაავადების დროს სამკურნალო მასაჟის გაკეთების თავისებურება ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება.“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამა არ ითვალისწინებს ლათინური ენის სწავლებას.

1.19 მეტყევეს პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს სტანდარტით დადგენილი უცხო ენის სწავლებას. გადამოწმდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსები, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული სწავლის შედეგები არ მიიღწევა.

1.20 ექთნის თანაშემწეს მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა - სხვა ტიპიური სახის დარღვევების გარდა, პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა შეუძლებელია თანდართული სასწავლო კურსების სილაბუსებით. მაგალითად, პედიატრიის სასწავლო კურსი ითვალისწინებს მხოლოდ ბავშვთა კვების საკითხებს და სხვ.

1.21 წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები დამოწმებულია დაწესებულების ბეჭდით და ხელმოწერილია დირექტორის მიერ. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ,,პროფესიული კოლეჯი ,,ახალგაზრდობის“ წესდებისა და ბათუმის პროფესიული კოლეჯი

,,ახალგაზრდობის“ დებულების მიხედვით მუხლი V. ,,კოლეჯის პედაგოგიური საბჭოს“ კომპეტენციას განეკუთვნება სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამტკიცება. აქვე განვმარტავთ, რომ დაწესებულება არის შპს ,,ახალგაზრდობა“, რომელსაც ავტორიზაცია გავლილი აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მხოლოდ მე-3 საფეხურის განხორციელებაზე.

1.22 ხშირ შემთხვევაში არასწორადაა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მაგალითად პროგრამა - ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი, სტანდარტით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მესამე საფეხურის (ექსპერტის თანაშემწე) პროფესიული კვალიფიკაცია, ხოლო დაწესებულებას პროგარამაში მითითებული აქვს მესამე საფეხურის ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის კვალიფიკაცია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. დირექტორის განმარტებით ის გაწერილია ,,პროფესიული კოლეჯი ,,ახალგაზრდობის“ წესდებასა და ბათუმის პროფესიული კოლეჯი ,,ახალგაზრდობის“ დებულებაში. ექსპერტების მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები, სადაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები არ არის გაწერილი.

2.2 ასევე არ არის შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმები. დირექტორის განმარტებით ის გაწერილია ,,პროფესიული კოლეჯი ,,ახალგაზრდობის“ წესდებასა და ბათუმის პროფესიული კოლეჯი ,,ახალგაზრდობის“ დებულებაში. გადამოწმების შედეგად, აღნიშნული არ დასტურდება.

2.3 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი წლიური ანგარიშის 1.6 პუნქტს აღწერენ შემდეგნაირად ,,პროფესიულ კოლეჯს დებულებით შემუშავებული აქვს 100 ქულიანი შეფასების სისტემა (შუალედური, სემინარული და საგამოცდო)“, რაც ჩვენთვის გაუგებარია. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ,,ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი“, რომლის შინაარსი და დანიშნულება ექსპერტებისათვის ასევე გაუგებარია.

3. ადამინურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულებას ხშირ შემთხვევაში არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ან და გამოცდილების მქონე მასწავლებელი. მაგალითად, ირმა ჯორბენაძე – დაწყებითი კლასების ინგლისურის მასწავლებელი, მოიაზრება სასწავლო კურსი - ბავშვის მოვლის მასწავლებლად, ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სხვა კანდიდატის პირადი საქმე, რომელსაც აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი დაწყებითი განათლების პედაგოგიკასა და მეთოდიკაში, ხოლო სამუშაო გამოცდილება - საბავშვო ბაღის აღმზრდელი. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, აღნიშნული სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია მას აძლევს ზემოთხსენებული სასწავლო კურსის სწავლების უფლებას.

3.2 ყველა მასწავლებელთან კანონმდებლობით დადგენილი წესითგაფორმებული არ არის შრომითი ხელშეკრულებები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ მას შეეძლო წარმოედგინა ყველა პროგრამის შესაბამისი სილაბუსების გასწორებული ვარიანტი.

თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ავტორიზაციის საბჭო ხელმძღვანელობს საექსპერტო ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებული მდგომარეობით. ამასთან, ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი შენიშვნები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კი საქმე ეხება 19 პროფესიული პროგრამის შესაბამის სილაბუსებში დაფიქსირებულ ხარვეზებს, რაც საჭიროებს კომპლექსურ და არსებით შემოწმებას, რისი არც უფლებამოსილება და არც შესაძლებლობა, სხდომის ფორმატში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს არ აქვს.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით წარმომადგენელს, შემუშავებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შეფასების სისტემა საექსპერტო ვიზიტის დროს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეფასების სისტემა არსებობდა, თუმცა არასრულყოფილი სახით. ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, უარყო დაწესებულების წარმომადგენლის განცხადება და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, შეფასების სისტემა დაწესებულებას საერთოდ არ გააჩნდა.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით წარმომადგენელს, შემუშავებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მობილობის წესი ექსპერტთა ვიზიტის დროსაც შემუშავებული იყო. ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, უარყო დაწესებულების წარმომადგენლის განცხადება და აღნიშნა, რომ მოცემულ საკითზე ვიზიტის დროსვე მიმდინარეობდა მსჯელობა, კერძოდ, დაწესებულებას გააჩნდა მხოლოდ ხელშეკრულება, მაგრამ არ იყო გაწერილი შესაბამისი წესი. ამასთან, ხელშეკრულების მეორე მხარე - საგანმანათლებლო დაწესებულება, არ ახორციელებს სრულად იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს (19 პროგრამა), რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს შპს - ახალგაზრდობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს პარტნიორი დაწესებულება. ამასთან, ვიზიტის შემდგომ, შპს - ახალგაზრდობის მიერ მოხდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება სხვა სასწავლებელთან.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სწორედ იმის ცოდნა, თუ რა საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს პარტნიორი დაწესებულება, უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების დადების საფუძველი. შესაბამისად, ამ ინფორმაციის არცოდნაზე პასუხისმგებლობა მთლიანად დაწესებულებას აკისრია, ხოლო ახალი ხელშეკრულება კი ვერ იქნება მხედველობაში მიღებული, რადგან იგი გაფორმებულია ვიზიტის შემდგომ, შესაბამისად, არ მომხდარა ხელშეკრულების შემოწმება და საბჭოს არ აქვს ხარვეზის გამოსწორებულად მიჩნევის გონივრული ვარაუდის საფუძველი.

საბჭომ იმსჯელა შპს - ახალგაზრდობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალგაზრდობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის შესაბამისად, შპს - ახალგაზრდობას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245422993) უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

13. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ განთიადს (საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1	რძის გადამამუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	რძის გადამამუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
2	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო	III	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული	20

	პროგრამა		კვალიფიკაცია	
3	მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული	15

14. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,მერმისს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 209467646) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	საკერავი მანქანის ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	საკერავი მანქანის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

15. ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი - პრესტიჟისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი - პრესტიჟისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი - პრესტიჟისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ პრესტიჟს (საიდენტიფიკაციო კოდი: 231287005) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	მზარეულის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	მზარეული მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

16. შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი სწავლების მეთოდოლოგია არეულია სწავლის ფორმატში. კერძოდ, „სწავლების მეთოდოლოგია მოიცავს:

1. სალექციო სწავლებას - პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს თეორიული ცოდნა არსებული ლიტერატურის და სალექციო მასალების გამოყენების საფუძველზე.
2. პრაქტიკული მეცადინეობა/სამუშაო ჯგუფში მუშაობას - პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაიღრმავოს სალექციო სწავლის საფუძველზე მიღებული თეორიული ცოდნა. ეს არის სწავლების ერთ-ერთი ხერხი, მიმართული პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებისაკენ.
3. საწარმოო პრაქტიკას - პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა სასწავლებლის ბაზაზე გაეცნოს კონკრეტულ სამუშაო პრაქტიკულ სპეციფიკას, განახორციელოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში რეალიზება და გაითავისოს შრომითი ეთიკის ნორმები.“

შესაბამისად, იგივე ხარვეზი ფიქსირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებშიც.

1.2 მზარეულის I საფეხურის პროფესიული პროგრამა - ინგლისური ენა 1 - სასწავლო კურსის სწავლის შედეგი გაწერილია როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად. ზოგადი ნაწილში დგინდება, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგი გადის ცოდნა და გაცნობიერებაზე, მაშინ როდესაც კონკრეტულად გამოყოფილია კომუნიკაციის უნარი. პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზეც აღნიშნულია მხოლოდ კომუნიკაციის უნარი.

1.3 პირველი საფეხურის გიდის ასისტენტს შეუძლია „მარტივი კომუნიკაცია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ტურისტებთან, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან“. არ არის განმარტებული, თუ რა დამატებითი უნარ-ჩვევები მოეთხოვება კურსდამთავრებულს სსსმ პირებთან, ან რა სახის უნარის შეზღუდვა იგულისხმება.

1.4 გეოგრაფიის სილაბუსში მითითებულია მასალა, რომელიც სტუდენტს უკვე გავლილი აქვს საბაზო განათლების ფარგლებში. მაგალითად: დედამიწის ზოგადი ფიზიკურ-

გეოგრაფიული მიმოხილვა, დედამიწის მოძრაობა, გეოგრაფიული მხარეები, გრადუსთა ბადე და სხვა.

1.5 კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა - „საქმიანი ურთიერთობების კულტურა“ - სასწავლო კურსის მოცულობაა 3 კრედიტი - 75 საათი. „სასწავლო კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს საქმიანი ეტიკეტი და საქმიან დოკუმენტებთან მუშაობა, თვითპრეზენტაციისა და მოლაპარაკების კულტურა; პროფესიულ თემებზე მომსახურების შეთავაზების კულტურა; პრობლემური სიტუაციის შეფასება, გადამისამართება და წერილობითი კომუნიკაცია; განიხილოს საქმიანი ურთიერთობის ფსიქოლოგია, გუნდური მუშაობის ნორმები და უსაფრთხოების წესები“. ამ კურსის მიზანი, თემატიკა და შინაარსი არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს და არ უწყობს ხელს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თავჯდომარემ 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტის შენიშვნა ლოგიკურია და გასაგები, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილია სწავლების მეთოდოლოგია, შესაძლებელია, შენიშვნა მიჩნეულ იქნეს არაარსებითად, რადგან იგი არსებითად არ იმოქმედებს პროგრმის განხორციელებაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ მზარეულის I საფეხურის პროფესიული პროგრამა - ინგლისური ენა 1 - სასწავლო კურსის სწავლის შედეგი გადის კომუნიკაციის უნარზე. სტანდარტი არ ავალდებულებს დაწესებულებას ცოდნა და გაცნობიერების უნარის გამომუშავებას, შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზეც აღნიშნულია მხოლოდ კომუნიკაციის უნარი.

ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, განაცხადა, რომ დაწესებულება უთითებს, რომ იგი პროფესიულ სტუდენტს აძლევს Pre-Intermediate დონის შესაბამის ცოდნას, ხოლო შედეგების რუკაზე კი მონიშნული აქვს მხოლოდ კომუნიკაციის უნარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსი ითვალისწინებს სწორედ კომუნიკაციის უნარს და სტანდარტის შესაბამისად მოხდა ამ უნარის მონიშვნა შედეგების რუკაზე.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, 1.2 შენიშვნა არ იყო არსებითი ხასიათის. თავჯდომარის პოზიცია გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით თავჯდომარემ მიმართა კითხვით წარმომადგენელს, რა სახის უნარის შეზღუდვას გულისხმობდა დაწესებულება კონკრეტულ შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტანდარტი ითვალისწინებდა ელემენტარული კომუნიკაციის უნარის ქონას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტები სწავლობენ ელემენტარული კომუნიკაციის ფორმებს ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის პირებთან ურთიერთობისათვის.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროფესიულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება ცხრა კლასის ბაზაზე, შესაბამისად, ის მასალა რომელიც მეცხრე-მეთორმეტე კლასებში ისწავლება პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გავლილი. ამათან, ამ შემთხვევაშიც დაწესებულება ორიენტირებული იყო პროფესიულ სტანდარტზე, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მართლაც მოხდეს თემების გამეორება.

1.5 შენიშვა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ასევე განპირობებული იყო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნის მიღწევის აუცილებლობით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან (სასწავლო პრაქტიკა), ამასთან, იმის გამო, რომ აღნიშნული არ იყო საკმარისი შესაბამისი უნარის მისაღწევად, დაწესებულებამ დამატებით შეთავაზა პროფესიულ სტუდენტებს სამ კრედიტიანი საგანი.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ 1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების არგუმენტაცია არადამაჯერებელია, რადგან სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნის მიღწევა სხვა გზითაც იყო შესაძლებელი. თუმცა, ლალი ღოღელიანის თქმით, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ხარვეზი არაარსებითი ხასიათისაა.

საბჭომ იმსჯელა შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო **კოდი:** 400019948) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1.	თექის ხელოსანი	III	თექის ხელოსანის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2.	კრიმინალისტი	III	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3.	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	III	გემის სამანქანე განყოფილების მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

4.	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	IV	მცირე ბიზნესის ბიზნესის მწარმოებელის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5.	გიდი	I	I საფეხურის გიდის პროფესიული კვალიფიკაცია - გიდის ასისტენტი	32
6.	მზარეული	I	მზარეულის I საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:41 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი